2. F550 № 7167
ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დიდის ძუძუი, არ გაიცვლების ხსვაზედა.:

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

1990
ხუთშაბათი
27
დეკემბერი
№155 (10392)
ფასი 8 კაპ.

პედაგოგიურ პრესაში ხშირად ისმის კითხვა: „რისთვის ვმუშაობთ ჩვენ პედაგოგები?, რა არის აღმზრდელობითი მუშაობის წარმატების კრიტერიუმი"?

## უფრო ახლოს მოზარდებთან

აღმზრდელთა მიზანია დაეხმარონ მოზარდებსა და ბავშვებს სიკეთისა და ადამიანურობის დამკვიდრებაში. სკოლის პრაქტიკაში გვხვდება ბევრი ენერგიული, ინიციატივიანი, სწავლაში წარჩინებული მოზარდი, მაგრამ პედაგოგის ამოცანა კი მდგომარეობს იმაში, რომ სწორად განსაზღვროს, დააზუსტოს აქტიურობის, ინიციატივისა და წარმატებული სწავლის მოტივები, უფრო სწორად, რისთვისაა ადამიანი აქტიური? ხომ შეიძლება განვსაზღვროთ მისი აქტიური ქცევა ეგოისტური მიზნები, კარიერიზმი, ქედმაღლობა, დანაშაულიც კი.

მოზარდი შეიძლება, როგორც აღვნიშნეთ, იყოს სწავლის ფრიადოსანი, დამჯერე, დავალებების შემსრულებელი, საზოგადოებრივი მუშაობის აქტივისტი. მიუხედავად ამისა, აღმზრდელს უფლება არა აქვს იყოს დამშვიდებული, სანამ მისთვის გასაგები არაა პასუხი: რისთვისაა ეს დაჯერება, ფრიადზე სწავლა, აქტიურობა?

მასწავლებელ-პედაგოგებისათვის, რომლებიც სწავლობდნენ მოსწავლეთა მოქმედების აქტივობას, აღმოჩნდა მოულოდნელი: ეგოისტები „მოზარდები თავიანთთვის" გამოვლინდნენ ძალიან ბევრი რაოდენობით აქტივისტთა შორის. ერთნი არიან მეთაურობის მოყვარულნი, მეორენი უპირატესობას მასწავლებელთა შექებას ანიჭებენ. დანარჩენებისათვის — მნიშვნელოვანია, რაც არ უნდა დაუჯდეთ გამოეყონ კოლექტივებს.

წამყვანი მოტივების ფსიქოლოგიური განსაზღვრა საკმაოდ რთული პრობლემაა. უხელმძღვანელო მოზარდთა სურვილებს, მისწრაფებებსა და ინტერესებს ესე იგი აქტიური ზემოქმედება მოვახდინოთ მათ სულიერ სამყაროზე, გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ვუხელმძღვანელოთ მოზარდთა და ბავშვთა გარეგნულ ქცევებს. აღზრდის ხელოვნება სწორედ მდგომარეობს ადამიანის სულიერი სამყაროს ფორმირებაში.

ცნობილი რუსი მეცნიერის ი. მეჩნიკოვის აღმზრდელი ვ. კონჩევსკაია წერდა ა. ჩეხოვს: „მე 45 წლისა ვარ, ჩემი ცხოვრება არ იყო იოლი, მე კი ბედნიერი ვარ, რადგან არასოდეს ვკარგავდი ცხოვრების აზრს და ყოველთვის ვპოულობდი, რომ სანამ არის სიყვარული ვისიმესადმი, — ცხოვრება ღირს და ღრმად ვარ დარწმუნებული — ადამიანებისადმი სწორედ ინტენსიური სიყვარული მაძლევს მხოლოდ ბედნიერებას, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი წამართმევს".

ადამიანში ადამიანურობის აღზრდა შეუძლებელია მკაცრად ორგანიზებული, მიზანსწრაფული კოლექტივის გარეშე. კოლექტივი წარმოადგენს პედაგოგიკის ძირითად ცნებას, მისი შექმნა და წარმართვა წარმოადგენს თითოეული აღმზრდელის უმთავრეს საზრუნავს, საამზრდელო ღონისძიებათა წარმატებული რეალიზაციის წინაპირობას.

დღეს სასკოლო ცხოვრებაში ხშირად გვხვდება სიტყვათა შენაერთები: „ჩვენი კოლექტივი ძლიერია", თითქოს მდუღარე ფოლადი იყოს ცივიც და ცხელიც. კოლექტივი არ შეიძლება იყოს დარაზმული ან დაქუცმაცებული, „კარგი" ან „ცუდი" იგი მხოლოდ ერთიანი უნდა იყოს, აი, რა არის მისი განსაკუთრებული და აუცილებელი თვისება.

კოლექტივში მოზარდები და ბავშვები შრომობენ და სწავლობენ საერთო საქმისათვის. ეს მისი თვისებაა.

ერთეული მოზარდისა და ბავშვებისადმი კოლექტივი არ შეიძლება იყოს ცუდ დამოკიდებულებაში, რადგან მისი არსებობის აზრი თითოეული ბავშვის სიკეთე და კეთილდღეობაა. მაგრამ ბავშვთა კოლექტივი მომთხოვნიცაა-მისი ცხოვრების არსი მდგომარეობს მოზარდისათვის საქმეების ორგანიზაციაში მათი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში. ყველა ეს თვისება არ აღმოცენდება მოზარდებში ან მოზრდილებში ერთბაშად, მაგრამ რაც უფრო ჩქარა წარმოჩინდებიან ისინი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე კოლექტივი დაიბადა, ხოლო მისი დაბადებით აღმზრდელს ექნება საუკეთესო „სავარჯიშო დარბაზი", სადაც მოხდება ადამიანში ადამიანური თვისებების აღზრდა, მისი შემდგომი სრულყოფა — განვითარება. დიდი ილიას იდეებიც მოზარდში „ზნე-ხასიათის წვრთნაში" მდგომარეობს.

გვახსოვდეს, რომ, სკოლის საამზრდელო მუშაობის მთავარ ღერძს სასკოლო კოლექტივები წარმოადგენენ და პედაგოგიური კოლექტივების ყურადღების ცენტრში მოსწავლეთა კოლექტივები უნდა იდგნენ.

ა. ღურწკაია.

## ჩვენთვის ძვირფასია საქართველოს მომავალი

თბილისი. მერაბ კოსტავას ქუჩა № 67, საქართველოს ტელევიზიისა და რადიო მაუწყებლობის კომიტეტი, „მოამბის" რედაქციას.

ახალი გაზეთ „ოდიშის" რედაქტორს,

ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის კოლექტივში დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ საქართველოში შექმნილი დაძაბული ვითარების გამო, რაც ერს საბედისწერო შედეგებით ემუქრება.

საქართველოში ეროვნულ ძალებს შორის უთანხმოება შეიძლება აწყობდეს მხოლოდ ქართველი ერის მტერს. ამიტომ მოვითხოვთ მშვიდობიანად მოგვარდეს ეროვნულ ძალებს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტები.

კომბინატის მშრომელები მხარს ვუჭერთ საქართველოს მიერ გაკეთებულ არჩევანს, მის ეროვნულ პარლამენტს და მოვუწოდებთ ყველა ძალებს მის გარშემო შემჭიდროებას.

გვჯერა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სწორ გზაზე დააყენებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ხვალინდელი დღე, მისი მომავალი.

ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის კოლექტივი.

მოქალაქეთა გულისთქმა

## ერთ მუშტად შევიკრათ

მაფიქრებს ერთი არასასიამოვნო ტენდენცია. ადამიანები იოლად იმეტებენ ერთმანეთს ავისიტყვისთვის, ლანძღვისთვის, განქიქებისთვის. აგრესიულობისა და ლვარძლიანობის ტონით კეთილი საქმეები არ გაკეთდება. დღემდე მოქმედი სისტემის დოგმებით იდეოლოგიზირებულ მოქალაქეებში მტერს კი არ უნდა ვხედავდეთ, არამედ დროის ტრაგიკულ ნაყოფს. მსხვერპლს და ვზრუნავდეთ მისი სულიერი ხსნისათვის. საქართველო არ უნდა დავაყენოთ მეგობრებო ბარიკადების საპირისპირო მხარეზე. მას კონფრონტაციის დამანგრეველი ტალღები უნდა ავარიდოთ. ჩვენ ყველანი უნდა გაგვაერთიანოს ეროვნულმა ინტერესებმა. არავინ არ ხდის სადაოდ იმას, რომ ისტორიულ საქმეს აკეთებენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები. თუ გაერთიანებები. ისინი მოწამებრივ გზას გადიან თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსაკენ. მაგრამ მინდა იყოს მეტი ურთიერთგაგება, მეტი სწრაფვა ოფიციალურ სტრუქტურებთან თანხმობის, კონსოლიდაციის მიღწევისათვის.

საბჭოთა კავშირის ხელისუფლებასთან მოდავე საქართველოს ნამდვილად არ სცალია შინაურული შუღლისათვის. მხოლოდ ერთად ყოფნა, ერთ მუშტად შეკვრა მოგვაპოვებინებს ნანატრ თავისუფლებას.

ბ. არნანია.

## აუცილებელია თანხმობის მიღწევა

ჩვენს თვალწინ ურთულესი პროცესები მიმდინარეობს. საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვიდა ახალი პოლიტიკური ძალა, რომლის ეროვნულ თვითშეგნებასა და პატრიოტულ ძალისხმევაში დიდი და პატარა დარწმუნებულია. ისიც ნათელია, თუ რაოდენ მწვავე პრობლემების გადაწყვეტა მოუწევს ახალ მთავრობას. სხვა შემაფერხებელ ფაქტორებთან ერთად შეუნელებელი ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს განმანათლებლური, კულტუროლოგიური მუშაობა, რასაც უცილოდ უნდა მოყვეს მოქალაქეთა პოლიტიკური შეგნებისა და კულტურული ორიენტაციის დონე.

ცნობილი რუსი პოეტის ჩაადაევისა არ იყოს, არ კმარა სამშობლოს სიყვარული მხოლოდ დახუჭული თვალებით, მოკუმული ბაგეებით და დახრილი თავით. უნდა ვაკეთოთ კონკრეტული საქმეები. მიტინგური ეგზალტაციიდან ჩვენი ენერგია უნდა გადაერთოს კონკრეტულ საქველმოქმედო აქციებზე.

მისასალმებელია ქრისტიანული სულის აღორძინება. ათეულწლობით ურჯულოებაში ჩაძირული საზოგადოება თანდათან ისევ უნდა ეზიაროს ქრისტიანულ სიყვარულსა და სათნოებას. მაგრამ არ შეიძლება შეშფოთების გარეშე უცქირო ცდებს, როცა თვითმიზნად იქცევა ურთიერთდაპირისპირება, გათიშულობა, კონფრონტაცია. ეყოს საქართველოს უბედურებანი, რაც კლასობრივი ბრძოლის დროშით ბოლშევიკურმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა მოუტანა. პირადი წყენის, სიძულვილის დონეზე პოლიტიკური პაექრობა და თანხმობის მიღწევა გამორიცხულია. ეს ღრმად უნდა გაითავისოს ყველამ, ვისაც სამშობლოს ბედი, მისი კეთილდღეობა აღელვებს.

[illegible]

ინფორმაცია

## დავალება—გადამეტებით

მიმდინარე წელი დღეებსღა ითვლის. საზოგადოებრივი მეცხოველეობის მუშაკები აჯამებენ შედეგებს. კოლხიდელმა მეცხოველეებმა (ფერმის გამგე სოციალისტური შრომის გმირი იმენია ჯაბუა) მიუხედავად რიგი სიძნელეებისა დადებითად გადაწყვიტეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების საკითხი.

25 დეკემბრისათვის 134 ტონის ნაცვლად წარმოებულია 145 ტონა რძე, სახელმწიფოს 124 ტონის მაგიერ მიეყიდა 136 ტონა რძე. ყოველდღიურად დაზიდებულ საწარმოს მიეყიდება 200-250 კილოგრამი რძე.

ფერმაში, რომელიც ნახევარი წლის, გადავიდა ახალ ბინაში, წლების მანძილზე მუშაობენ გამოცდილი მეცხოველეები ნინელი, სულიკო დოასელიძე, ზინა პირველი, ჟორჟი ჯაბუა, მეხრან ნაჭყებია, გული ჯიქია და სხვები რომელთა მონდომებულმა შრომამ განაპირობა დავალების გადამეტებით შესრულება.

იმისათვის, რომ უწყვეტლად გამოიზამთრონ პირუტყვი მომარაგებული აქვთ სენაჟი 110 ტონა, სილოსი 350 ტონა. მაგრამ იმის გამო, რომ მშენებელმა ორგანიზაციამ დროულად ვერ უზრუნველყო სასილოსე ტრანშეების გადახურვა ღია ცისქვეშ მყოფი წვნიანი საკვების ხარისხის შენარჩუნება საფრთხის ქვეშაა. ვერ მოხერხდა ადგილზე ჩალისა და თივის დამზადება (იგი მოსახლეობამ ჩაიბარა). კოლმეურნეობა იძულებულია შემოიტანოს ძვირად ღირებული ნამჯა, რაც თავისებურ დაღს დაასვამს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობა: მოქმედი სისტემის პარადოქსები

# აბსურდად აგდებული მშენებლის რეპუტაცია

ყველაზე თვალხილული პარადოქსი, რაც სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობაში იჩენს თავს, ის არის, რომ იგი იდენტურია ათეული წლობით ქვეყნად მოქმედი ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემისა. ანაქრონიზმია, რომ დღემდე სამშენებლო ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ ფასწარმოქმნის ძველი სისტემებით და სახმშენის ორთოდოქსული დირექტივებით. აბდაზღვეული სამშენებლო პრაქტიკის თანმდევი რეციდივებია ისიც, რომ ჩვენს ქალაქში ერთდროულად ვაშენებთ ათეულობით ობიექტს და ვერ ვასრულებთ ჩაბარების დავალებას. ნაგებობათა ხარისხიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. როგორც იტყვიან, ბოლო ხუთ წელიწადში ვაშენებთ მხოლოდ ერთ სახლს. ამ მიზეზით 400-ზე მეტი ოჯახი 1971 წლიდან ელოდება ბინას.

დღემდე ვერ განთავისუფლებულა მშენებლობა ისეთი ალოგიკურობისაგან, როგორიცაა მუშაობა 80-იანი წლების გადასახდებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ცალკეულ უმნიშვნელო, ჩვენ ვიტყოდით, ფორმალურ ცვლილებებს, რაც არაფრით არ ცვლის ვითარებას სისტემაში.

როგორც მშენებლებმა გვითხრეს, დღეს ფაქტიურად დამკვეთსა და მშენებელს შორის ურთიერთობა ფორმალურია და გამორიცხულია რაიმე სამშენებლო პოლიტიკით ლავირების, აწდა მუშა კაცის დამასტიმულირებელი ბერკეტებით ოპერირების შესაძლებლობა.

აი, სანამდე შეიძლება მივიდეს აბსურდული სიტუაცია, როცა მშენებელი ერთი კუბური მეტრი მიწის გათხრისათვის რაღაც კაპიკებს იღებს. ნაცვლად იმისა, რომ საქმეს ოფიციალური ნორმატივის დონეზე ეშველოს, მშენებელი იძულებულია ეძიოს სამართალ, კანონსაწინააღმდეგო არხები, რათა მუშახელი შეინარჩუნოს, ასე და ამდაგვარად, მოლაერის ძალად ექმნისა არ იყოს, მშენებელი უნებლიედ ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლის ხათაკილო დამღის იკრავს ზურგზე.

ამ სამიოდე წლის წინათ ჩიჩუას ქუჩაზე აშენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. მობინადრეებიც შესახლდნენ. და დაიწყო... უცნაურობანი. მერე გამოირკვა, რომ სახლს ჭირდებოდა ტელეფონისა და რადიოსაზების მონტაჟი. საჭირო შეიქნა აშენებულის დანგრევა. სახეზეა როგორც პროექტის ავტორის, ისე მშენებლის თვითნებობა, რასაც მე პირადად ცინიზმსაც ვუწოდებდი.

ესეც პარადოქსია, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ. ჩვენში, მშენებლობა, როგორც წესი, მიმდინარეობს კომიკურ პირობებში. მანქანა, მექანიზმი, კაცი მუხლებამდე ტალახში. ეულობა, ელემენტარულ სამშენებლო კულტურაზე ლაპარაკი ზედმეტია. იქნებ დროა, განვითარებული ქვეყნების დარად ჩვენც ვისწავლოთ სამშენებლო პოლიგონის დროულად და ნორმალურად კონსტრუირება.

ყველაზე დიდი გაჭირვება ის არის, რომ ფასი ვერა და ვერ დავადეთ მშენებელ კაცს. პროფესია, რომელიც ოდითგანვე ყველა ცივილიზებული საზოგადოების მიერ უდრესად პრესტიჟულად არის მიჩნეული, პროფესია, რომელიც აბსოლუტურებს „რეიტინგით" ექიმის შემდეგ მეორე ადგილზეა ამერიკაში, ჩვენს პირობებში ტოტალური ცინიზმის საგანი გახდა. ვის არ ახსოვს ხრუშჩოვის დროინდელი ხართულები, და უტიფრად გათვლილი ლილიპუტების ტანზე. ეს იმის სახიერი ილუსტრაციაა, თუ როგორ შეიძლება ავტორიტარიზმის პირობებში აბუჩად იქნას აგდებული მობინადრე, მისი სოციალური სტატუსი, ამასთან მშენებლის რეპუტაცია.

ამიტომ, საშურია პირველი რუბრიკის დებიუტი რედაქციამ მსხვილი შრიფტით ავაწყობინოთ და განგაშის ზარივით ჩამოეკრათ:

ბატონებო, მივაფხიზლოთ მშენებლებს!

პირველი მაშველი რგოლი ასე ოფიციალურმა მმართველობითმა სტრუქტურამ უნდა გაუწოდოს მათ. პროგრესული საქმე გაკეთდა მშენებელთა რესპუბლიკის კავშირის შექმნით, მაგრამ დასანანია, რომ [illegible] თენგიზ ყორღოლიანს და მის თანამოაზრეებს ჭერჭერობით ვერ გაურღვევიათ მშენებლობის მართვის ის ბიუროკრატიული სისტემა, რომელიც ამ დარგს რვაფეხასავით ბოჭავს. ყველამ უნდა გავითავისოთ ის ჭეშმარიტება, რომ მშენებლობას ჩიხიდან გამოიყვანს თვითმმართველობის, იჯარისა და კოოპერატივის პრინციპით აგებული სტრუქტურები, რომლებიც ახალშეკრულები პირობების საფუძველზე მოახდენენ ანგარიშსწორებებს. ამდაგვარი რეფორმებისათვის ჯერ კიდევ 10-15 წლის წინათ გაფთრებით იბრძოდა ცნობილი ნოვატორი მშენებელი ნიკოლოზ ტრავკინი. მაგრამ იმჟამინდელი მისი ენთუზიაზმი სამშენებლო ინდუსტრიაში გამეფებულმა ბიუროკრატიამ [illegible]. ახლა მაინც დროა შევუდგეთ საქმეს, სახელმწიფო მონოპოლიის საცეცებისა, გან დავიხსნათ მშენებელი, მივცეთ საშუალება საბაზრო ეკონომიკის ბერკეტები მოიმარჯვოს და თავის პროდუქციას კუთვნილი ფასი დაადოს.

და კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გვაწუხებს: ზუგდიდში არსებობს ქალაქის განაშენიანების გეგმა, მაგრამ აშკარად იკვეთება მისი იგნორირების ტენდენცია. ყველანი იქ ხვამენ ობიექტს, სადაც მოესურვება. ასეთი მიდგომით ქალაქი კარგავს თავის კოლორიტს, მრავლდება უსახური ფორმები. არქიტექტურის სამსახური ფაქტიურად უფუნქციოდ არის დარჩენილი, ასეთ ვითარებას არაფრით არ უნდა ვეგუებოდეთ.

გვაქვს იდეაც: ზუგდიდს სწყურია, ენატრება ორიგინალური, ინდივიდუალური პროექტით აგებული შენობები. დავაწესოთ კონკურსი, დავაინტერესოთ ავტორები, უარი ვუთხრათ აშკარად ტიპიური პროექტებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვებს და მერწმუნეთ, შედეგი გვექნება. ფული გაჭირდა? შესაწირავებს მივმართოთ.

მთავარი მაინც ეგაა: ვაშენოთ ახლებურად. ვაშენოთ გულით და არა ვალის მოხდის მიზნით.

ზ. ცხონდია.

---

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის" მოღვაწეობა ფართოდ შუქდება რესპუბლიკური პრესითა და ტელევიზიით, მაგრამ მის შესახებ გაზეთ „ოდიშის" ფურცლებზე ჯერ არაფერი თქმულა. ამ მიმართებით ინფორმაციის ნაკლებობას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ მიუხედავად საინიციატივო ჯგუფის ქმედითი მუშაობისა, რეგისტრაციაში არ იყო გატარებული ასოციაციის ადგილობრივი ორგანიზაცია. და აი ესც განხორციელდა: ამ დღეებში საქალაქო საბჭოს აღმასკომმა რეგისტრაციაში გაატარა ზუგდიდის რეგიონალური ჰუმანიტარული ორგანიზაცია „კათარზისი" (სათნოების ორდენი, საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოება). ზუგდიდის რეგიონალურ ჰუმანიტარულ ორგანიზაცია „კათარზისს" სათავეში უდგას ქალაქ ზუგდიდის განათლების განყოფილების ხელმძღვანელი აღზრდის ინსპექტორი ლეილა კვირკველია.

რასაცა გასცემ, შენია..

# სულიერი განწმენდისა და თავისუფლებისათვის

მკითხველს შევახსენებთ რომ 1990 წლის მარტიდან საქართველოში ფუნქციონირებს ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი". 4 ივლისამდე იგი დაჟინით ალმაშენებლის საზოგადოებასთან იყო დაფუძნებული, რის შემდეგაც გამოეყო მას და დაფუძნდა როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკური ორგანიზაცია.

ასოციაციაში (პრეზიდენტი ნუგზარ ილდაშვილი) გაერთიანებულია ორი რესპუბლიკური ორგანიზაცია: სათნოების ორდენი და საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოება.

ასოციაციის შექმნის დღიდან განვლილ პერიოდში მასში გაერთიანებულმა ორივე ორგანიზაციამ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები თავისი ფუნქციური დანიშნულების პრაქტიკული რეალიზაციისთვის. კერძოდ, სათნოების ორდენში წამოიწყო ჰუმანიტარული მოძრაობა: „ცხრაში ერთი დღე მოყვასს", რომელსაც ეჭვი ფართოდ გამოეხმაურა ქართული საზოგადოებრიობა. ორდენის წევრები ცხრაში ერთ დღეს უთმობენ გაჭირვებულ თანამოძმეს, ნიავქეთ მათთან პროდუქტები, უწევენ მარტოხელებსა და ინვალიდებს უანგარო საყოფაცხოვრებო, მორალურ და სხვა სახის დახმარებას.

სათნოების ორდენის მიერ წამოწყებული ჰუმანიტარული მოძრაობა („ცხრაში ერთი დღე მოყვასს") არ უნდა იქნას გაგებული, როგორც რიგითი ქველმოქმედების თუნდაც სისტემატური გამოვლენა. ჩვენს დროში, როდესაც კოლოსალურად ვიგებთ ათასობით შემზარავ დანაშაულობებს შესახებ, ეს მოძრაობა მაინცდამაინც უნდა იქნას ერთ-ერთ ფორმად საზოგადოების ზნეობრივი განწმენდისა და ამ გზით სულიერი თავისუფლების მოპოვებისა, რომლის ნაკლებობა ისე თვალსაჩინოა, რომ თავისუფლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ზედმეტი არ იქნება ფართო საზოგადოებრიობას ერთხელ კიდევ შევახსენოთ, რა საშიშროების წინაშე აყენებს შიდსი ჩვენი ხალხის ფიზიკურ არსებობას. შეიძლება ითქვას, რომ ახეთი განსაცდელის წინაშე არასოდეს არ მდგარა არა მხოლოდ ჩვენი ერი, არამედ მთელი დედამიწის ცივილიზაცია. მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული მეცნიერების გაანგარიშებით სულ რაღაც 10-15 წელიწადში სენი შეიწირავს დედამიწის მოსახლეობის ორ-მესამედს. ახეთი ნაღვლიანი პროგნოზების ფონზე ძნელი წარმოსადგენი არ არის მცირერიცხოვანი ერების ბედი...

ასეთ ვითარებაში ჯიდი და ძნელი მისია აკისრიათ შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოებებს, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაერთიანებული არიან ასოციაცია „კათარზისში". მთავარი მაინც ფართო საინფორმაციო, სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობაა, რათა მოსახლეობამ მთელი სიცხადე-სიღრმით შეიცნობიეროს საფრთხე, რომელიც მას ელოდება ყოველ ფეხის ნაბიჯზე: სამედიცინო - პოლიკლინიკებში, საპარიკმახეროებში, კურორტებზე და სხვაგან...

ზუგდიდის რეგიონალური ჰუმანიტარული ორგანიზაცია „კათარზისი" ახლადშექმნილია, მას უთუოდ ესაჭიროება ყოველმხრივი თანადგომა და დახმარება, რათა ქეთილვნად განახორციელოს თავისი ფუნქციური დანიშნულება ისე და ისევ ჩვენი ერის სასარგებლოდ, საქართველოს სადღეგრძელოდ.

სულ მალე ზუგდიდის რეგიონალურ ჰუმანიტარულ ორგანიზაცია „კათარზისს" ბანკში ექნება საკუთარი ანგარიში, რის შესახებაც დამატებით გაცნობებთ. ვიმედოვნებთ, რომ თითოეული ზუგდიდელი სულის კარნახით, შეძლებისდაგვარად გაუწევს ფულად დახმარებას ამ ახალ, მეტად ჰუმანურ და საშვილიშვილო წამოწყებას.

ჯ. არქანია.

---

იაკობ გოგებაშვილი—150

## საიუბილეო საღამო სკოლა-ინტერნატში

ამასწინათ ქალაქის სკოლა-ინტერნატში ჩატარდა საიუბილეო საღამო მიძღვნილი იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი.

საღამოს ხანის სკოლის დირექტორი ნინო ჟვანია, რომელიც სიტყვას გადასცემს ქალაქის განათლების განყოფილების მეთოდისტს დავით აბხაზავას. მათ დამსწრეებს ვრცლად მოუთხრეს დიდი პედაგოგისა და მოაზროვნის იაკობ გოგებაშვილის მიერ გავლილ გზაზე, მის დამსახურებაზე ქართულ პედაგოგიკაში.

—„პირველად დედა ენა უნდა მეფობდეს ქართულს ოჯახში სრულიად და სავსებით და ყოველი ქართული მხოლოდ მის ზეგავლენის ქვეშ უნდა იზრდებოდეს",— დიდი პედაგოგის ეს გამონათქვამი გახდავდა საღამოს ლეიტმოტივად, რომლის გამართვის ინიციატორი იყო პედაგოგი ლეილა ხუფენია.

კლუბის სცენის სიღრმეში მოხჩანა დიდი იაკობის პორტრეტი, ლამაზი ქართული—გოგებაშვილისებური ასოებით ამოკვეთილი: ია, აი, ია...

მოსწავლეებს გულთბილად მიმართავს პოეტი ზაურ ვერგედავა, შემდეგ კი სცენა ეთმობა მოსწავლეებს, რომლებმაც საინტერესოდ წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია: ენა სულია ერისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კანონის კომენტარი**

# მეტი ყურადღება — ბავშვიან ოჯახებს

სახელმწიფო გარკვეულ მატერიალურ დახმარებას უწევს ორსულ ქალებს, მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, მაგრამ, სამწუხაროდ, რაც ამ მიმართებით დღემდე კეთდება, ძალზე ცოტაა.

საქართველოში ყოველთვიურ სახელმწიფო დახმარებას იღებს 18999 მრავალშვილიანი და 12765 მარტოხელა დედა, თუმცა დახმარების ოდენობა იმდენად მცირეა, ხშირად ხსენებაც კი უხერხულია. პიროვნების აბუჩად აგდება, მრავალშვილიანი ოჯახების ყოველდღიური ყოფის უგულებელყოფა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმას, როცა ქალს, მეოთხე შვილის შეძენისას ყოველთვიური დახმარება 4 მანეთის ოდენობით ენიშნება, ხოლო მეათე, მეთერთმეტე და შემდეგ შვილებზე მხოლოდ 15 მანეთი, ისიც ბავშვების 5 წლის შესრულებამდე.

მარტოხელა დედებს სახელმწიფო დახმარება ენიშნებათ იმ შემთხვევაში, თუ არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, დაბადების მოწმობაში არ არსებობს ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, ან ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ მამის თანხმობის გარეშეა, დედის მითითებით.

მარტოხელად ითვლება ქალი, რომელიც ერთ ოჯახად არ ცხოვრობს ბავშვის მამასთან და არ ეწევა საერთო მეურნეობას. ჯერჯერობით მოქმედი კანონით მარტოხელა დედებს დახმარება მიეცემათ თითოეულ ბავშვზე თვეში 20 მანეთის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ 1990 წლის 1 დეკემბრიდან როგორც მრავალშვილიან, ისე მარტოხელა დედებს აღნიშნული დახმარება გაეზრდებათ თვეში 85 მანეთამდე თითოეულ შვილზე, რაც ოდნავ მაინც გააუმჯობესებს აღნიშნული ოჯახების ეკონომიკურ პირობებს.

კანონის თანახმად ყველა ორსულ ქალს ეძლევა შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო 112 კალენდარული დღის ხანგრძლივობით, აქედან მშობიარობამდე 56 და მშობიარობის შემდეგ 56 დღე. არანორმალური მშობიარობის, ან ორი და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში მშობიარობის შემდეგ ქალს მიეცემა შვებულება 70 კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

ქალებს, რომლებმაც იშვილეს ბავშვები უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, შვებულება ეძლევათ შვილად აყვანის დღიდან, მაგრამ არაუმეტეს ბავშვის დაბადებიდან 56 დღის გასვლამდე პერიოდისათვის.

სულ ცოტა ერთი წლის საერთო სტაჟის მქონე მომუშავე დედებს, აგრეთვე წარმოების მოწყვეტით მოსწავლე ქალებს ნაწილობრივ აუნაზღაურდებათ შვებულება ბავშვის მოსავლელად, სანამ იგი წლინახევრის გახდებოდეს. ეს შვებულება ანაზღაურდება თვეში 50 მანეთის ოდენობით ქვეყნის შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და ჩრდილოეთის რაიონებში და 86 მანეთით თვეში დანარჩენ რაიონებში.

სასიხარულოა, რომ 1991 წლის 1 იანვრიდან ზემოაღნიშნული პირობების მქონე ქალებს დახმარება ბავშვის მოსავლელად მისი წლინახევრის შესრულებამდე მიეცემათ თვეში 70 მანეთის ოდენობით, ხოლო არამომუშავე ქალებს (რომელთაც დღეს საერთოდ არ ეძლევათ დახმარება) —85 მანეთის ოდენობით.

მომუშავე ან წარმოების მოწყვეტით მომუშავე ქალებს ეძლევათ ერთდროული დახმარება 50 მანეთის ოდენობით პირველი შვილის გაჩენისას და 100 მანეთი მეორე და მესამე შვილის დაბადებისას. ამასთან თუ დედას შეეძინა ტყუპი შვილი, ერთდროული დახმარების სახით ეძლევა თითოეულ ბავშვზე 100-100 მანეთი.

კანონით გათვალისწინებულია რიგი სხვა შეღავათები, რაც ბავშვიან ოჯახებს და 30 წლამდე ასაკში ახალდაქორწინებულებს მეტ უპირატესობას აძლევს სახელმწიფო საცხოვრებელი ფართობის მიღებისას. გარდა ამისა, თუ 30 წლამდე წყვეტით მომუშავე ქალებს დაქორწინებულ მეუღლეებს ჰყავთ ერთი ბავშვი მაინც და მეუღლეთა შორის რომელიმეს აქვს ერთ დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან კოლმეურნეობაში მუშაობის არანაკლებ 2 წლის შრომის სტაჟი და სამუშაო ადგილზე ხასიათდება დადებითად, საბინა-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ ისარგებლონ 1500 მანეთამდე უპროცენტო სესხით 8 წლის ვადით. თუ ახალგაქორწინებულ ასეთ მეუღლეებს შეეძინათ მეორე შვილი, ვალის დასაფარავად ჩაეთვლებათ 200 მანეთი, ხოლო მესამე შვილის შეძენის შემთხვევაში 300 მანეთი.

გასული წლის 1 დეკემბრიდან უხელფასო შვებულების ხანგრძლივობა, რომელიც მომუშავე ქალს ზემოაღნიშნულ თარიღამდე შვილის მოსავლელად ეძლეოდა ბავშვის წლინახევრის შესრულებამდე — გაიზარდა 3 წლამდე. აქედან ნაწილობრივ ფასიანი შვებულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 85 მანეთი თვეში, კვლავ ბავშვის წლინახევრის შესრულებამდე გაიცემა, ხოლო დანარჩენი უხელფასოდ, ისე, რომ ეს პერიოდი დედას ეთვლება როგორც უწყვეტ ისე სპეციალობით მუშაობის სტაჟად.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ დედათა და ბავშვთა პირობების გაუმჯობესების საქმეში უკანასკნელ წლებში დიდი წვლილი შეაქვს საქართველოში შექმნილ დემოგრაფიულ საზოგადოებასა და ბავშვთა ფონდს, რომლებიც მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას არ აკლებენ ბავშვიან ოჯახებს. მათი დიდი მონდომება და ძალისხმევაა იმაშიც, რომ მიმდინარე წელს დაწესდა „ქართველის დედის" სახატიო წოდება.

დედათა და ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის საქმეში უკვე თავისი იმედიანი სიტყვა თქვა რამდენიმე შეძლებულმა კოოპერატივმაც. მისასალმებელია ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ სასწავლებელთან არსებული ახალგაზრდული კლუბ „სიკეთის" გოგონების თაოსნობაც, რომლებიც ყოველდღე უანგაროდ უვლიან მძიმე პირობებში მყოფ ზოგიერთ მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებს. მაგრამ რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეული პიროვნებების ზრუნვა, ეს საქმე ვერ უშველის თუ სახელმწიფომ არ გამონახა შესაძლებლობა ბავშვიანი ოჯახების სოციალური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად, საჭიროა დაუყოვნებლივ გაიზარდოს მცირეშემოსავლიანი ოჯახებისათვის ამჟამად დაწესებული ყოველთვიური დახმარებები, რომელიც თვეში კვლავ 12 მანეთის ოდენობით ინიშნება, დაწესდეს დამატებითი შეღავათები მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის და სხვა მრავალი, ვინაიდან ვფიქრობთ არ არსებობს უფრო დიდი საქმე, ვიდრე ჩვენი ხვალინდელი დღის—მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდაა.

**ირინე ღლონტი,**

საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საორგანიზაციო-მეთოდური მუშაობისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსი.

# მიურატები სამეგრელოში

**წერილი მეშვიდე**

სოფლის მეურნეობის გარდა მიურატები ბევრ სხვა სფეროშიც საქმიანობდნენ. ყურადღებას იქცევს მათი დაინტერესება რეგიონის ბუნებრივი სიმდიდრეებით.

მიურატებს უწარმოებიათ ტყვიის მადნის ლაბორატორიული გამოკვლევა ქუთაისში პროვიზორ ვ. ო. შავგულიძის ლაბორატორიაში (იხ. დოკ. №8769). სამურზაყანოს ტერიტორიაზე მადნეულისა და ცარცის კერების გამო ხელშეკრულება გაუფორმებიათ მის აღმომჩენ ა. ზაბურზანიასთან (დოკ. №8764) მსგავსი ხელშეკრულება დაცულია არქივში პრინცესა ანტუანეტა მიურატსა და ვინმე ალშიბაიას შორის სვანეთში ტყვია-ვერცხლის საძიებო სამუშაოებთან დაკავშირებით (დოკ. №8762, 8766, 8768). ერთ-ერთ საბუთში ჩანს შავგულიძის ლაბორატორიის ანალიზის შედეგები მასალაზე სპილენძის შემცველობის შესახებ (დოკ. №8769). ამგვარი საძიებო სამუშაოები წარმოებდა რიონ-ცხენისწყლის სანაპიროებზეც და სხვა.

დადიან-მიურატები ზომებს იღებდნენ ხე-ტყით მდიდარი ადგილების ასათვისებლად. 1907 წელს პრინცესა სალომე დადიან-მიურატის დავალებით ტექნიკ ჯალალოვს შეუდგენია გზების გაყვანის პროექტი სალხინოს მახლობლად ქვიბის ტყის მასივების ექსპლოატაციის გასაადვილებლად.

რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანის ანგარიშების განაღდებას და საერთოდ იმპორტ-ექსპორტთან დაკავშირებულ ფინანსურ ოპერაციებს მიურატები უმთავრესად ვოლგა-კამისა და აზოვ-დონის კომერციული ბანკების მეშვეობით აწარმოებდნენ, რომელთა ცენტრები პეტერბურგში იმყოფებოდა, ხოლო განყოფილებები —თბილისში და სააგენტოები —ქუთაისში.

მიურატები სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და ქარხნულ მოწყობილობებს იძენდნენ თბილისში ბუფერმანის და ქუთაისში პეიკაროვისა და ყუფარაძის საწყობ-მაღაზიებში. ქუთაისიდან, ბ. ს. კურცხალიას კომერციული ტიპოგრაფიიდან მოჰქონდათ ქაღალდები და საქმეთა წარმოების სხვადასხვა ნივთები (დოკ. №3561-3567, 3820-3826). საგალანტერიო საქონელს და სასურსათო პროდუქტებს ასევე ქუთაისში იძენდნენ მეორე გილდიის ვაჭრების ძმების ფიჩხაძეებისა და ო. ქებაძის მაღაზიებიდან (დოკ. №3423-3425). ქუთაისი კი მარაგდებოდა უმთავრესად გარედან შემოტანილი საქონლით. სალხინოში არსებული კოოპერატიული საზოგადოება „იკონომია", რომელიც აწარმოებდა სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის რეალიზაციას (დოკ. №8727). არის მრავალი მიმოწერა და ურთიერთ ანგარიშები ქუთაისის საკრედიტო ამხანაგობასთან.

ბევრი რამ მიურატებს უშუალოდ საფრანგეთიდან ჩამოჰქონდათ ან სხვა ქვეყნებიდანაც გამოიწერდნენ (იხ. პარიზული ფირმის ანგარიში, დოკ. №9041).

დადიან-მიურატები მარტოოდენ ადგილობრივი ცხოვრებით არ იზღუდებოდნენ, მათ ურთიერთობა ჰქონდათ იმ დროის გამოჩენილ მოღვაწეებთან. თვალყურს ადევნებდნენ ქვეყნის სხვა რეგიონებში მიმდინარე პროცესებს. კურსში იყვნენ სიახლეებისა. მაგალითად არქივში მოიპოვება მიმოწერები შუა აზიაში, ნავთობის საძიებო სამუშაოებთან დაკავშირებით. შემოუნახავთ გაზეთიდან ამონაჭერიც კი ამის შესახებ (დოკ. №3961-3965, 5988).

არქივში დაცულია საზღვარგარეთის ქვეყნების რუკები, ქალაქების გეგმები. აქვეა თეატრალური პროგრამები (მათ შორის „ოიდიპოს მეფის", „ფაუსტისა" და სხვ). აგრეთვე —მრავალი ეგზემპლარი გაზეთებისა. შემონახულია გაზეთ „კვალის" 1893-1896 წლების ნომრები.

ვახასიათებთ რა სამეგრელოში სალომე და აშილ მიურატების და მათი შვილების საქმიანობას აღვნიშნავთ, რომ ისინი უპირველესად მამულების მფლობელნი იყვნენ, რომლებიც ეგრეთ წოდებული სანადელო მიწებიდან, დროებით ვალდებული გლეხებისაგან შემოსავლებს იღებდნენ ფულით და ნატურით მიწითსარგებლობისათვის, რაც ჩვენი წინაწერილებიდან მკითხველს მოეხსენება. დრო იყო ისეთი, როცა თავადაზნაურობა ყველა პრივილეგიით სარგებლობდა, მშრომელი გლეხობა იჩაგრებოდა, რადგანაც მიწა მათ საკუთრებაში არ იყო. გლეხი მიწის მესაკუთრე მაშინ გახდებოდა თუ მიწის პატრონისაგან მის ამოსყიდვას შესძლებდა.

ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ დადიან-მიურატების საქმიანობას გააჩნდა სასარგებლო მხარეებიც. მათ სალხინოში, ჭკადუაშსა და რიყეში სანიმუშო მეურნეობები მოაწყვეს. ეს მეურნეობები, როგორც ვწერდით დაქირავებულ შრომაზე იყო დამყარებული, თვითონაც როგორც გადმოგვცემენ ცოლ-ქმარი თავისი შვილებით არც თუ იშვიათად ფიზიკურადაც შრომობდნენ და ამით მისაბაძ მაგალითსაც უჩვენებდნენ გარშემო მყოფთ.

ობიექტურად მიურატებმა ხელი შეუწყვეს მევენახეობა-მეღვინეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას, შემოიტანეს უცხოეთის ტექნოლოგია და პლანტაციების მოვლის მოწინავე მეთოდები, გაიყვანეს გზები, აგებდნენ შენობებს, ხელს უწყობდნენ მწიგნობრობას, რეგიონში წარმოაჩენდნენ ევროპულ კულტურას. მათი საქმიანობის სხვა დადებით მხარეებზე ჩვენს წერილებში გზადაგზა გვქონდა საუბარი.

ჩვენი თხრობა ამით არ დამთავრებულა. არქივიდან გამოვლენილი მასალების კვალობაზე უფრო მოგვიანებით იგი გაგრძელდება.

**მამანტი პაპაკორია,**

ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის —ისტორიული მუზეუმის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

# ზუგდიდის გაზეთ „ოდიშის“ რედაქტორს

**რედაქციამ ამასწინათ მიიღო კოლექტიური წერილი, რომელიც საქალაქო ცხოვრების ერთერთ მნიშვნელოვან საკითხს ეხება.**

**ვბეჭდავთ აღნიშნულ მასალას ყოველგვარი შემოკლების გარეშე.**

## ინფორმაცია ქ. ზუგდიდის სატელევიზიო გადამცემ სადგურში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ბოლო დროს ქ. ზუგდიდისა და მიმდებარე რეგიონის მოსახლეობა მოწყვეტილი არიან სატელევიზიო გადაცემების ნორმალურ მიღებას და უახლოეს მომავალში ზუგდიდის სატელევიზიო გადამცემმა სადგურმა შეიძლება ფუნქციონირებაც კი შეწყვიტოს.

რესპუბლიკური რადიო-სატელევიზიო გადამცემი ცენტრი ვერ ახორციელებს სადგურის ნორმალურ ექსპლოატაციას. ვინაიდან ქ. ზუგდიდის მცხოვრებ ნაქრო როგავას და მისი მეუღლის მანონი გრიგოლაიას მიერ ბლოკირებულია ისეთი სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტი, როგორიცაა ზუგდიდის სატელევიზიო გადამცემი სადგური, რომლის მუშაობაზეც პირდაპირ არის დამოკიდებული ჭვარზენის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის რეგიონებში სატელევიზიო გადაცემების მიღების ბედ-იღბალი.

შ. როგავა და მისი მეუღლე სამუშაოზე არ უშვებენ ახლად მიღებულ თანამშრომლებს. სადგურის გასარემონტებლად მოსულ სპეციალისტებთან ქმნიან კონფლიქტურ სიტუაციებს. მდგომარეობა ისეა დაძაბული, რომ ადგილობრივი და თბილისიდან მოვლინებული კადრებიც ტოვებენ სამუშაოს. ასევე ემუქრებიან თბილისიდან კონფლიქტური სიტუაციების მოსაგვარებლად ჩამოსულ თანამდებობის პირებს.

ჩვენს მიერ არაერთხელ იქნა გაფრთხილებული ადგილობრივი ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები, რათა ჩამოეცილებინათ მეამბოხე პიროვნებანი და მოეცათ ნორმალური მუშაობის საშუალება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ისინიც ვერაფერს ხდებიან. გამოდის, რომ ამ ორი პიროვნების ნება-სურვილზეა დამოკიდებული სადგურის ნორმალური ფუნქციონირების საკითხი.

რესპუბლიკის რადიოსატელევიზიო გადამცემი ცენტრის ადმინისტრაცია მიმართავს ქ. ზუგდიდის მოსახლეობას მონაწილეობა მიიღოს არსებული კონფლიქტური სიტუაციის საჯაროდ გადაწყვეტაში და შეაგნებინოს მოქალაქე შ. როგავას და მ. გრიგოლაიას, რომ მათი ასეთი მოქმედება საზიანოა ზუგდიდის და მისი რეგიონის მოსახლეობისათვის.

**დ. ქავთარაძე,**
ადმინისტრაციის მთავარი ინჟინერი.

**ზ. ფაილოძე,**
პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

**გ. ადამია,**
შრომითი კოლექტივის საბჭო.

რეპლიკა

## გამაგებინეთ, რა ხდება?

მე პირადად მთლიანად ვეთანხმები და ვუზიარებ ამა წლის 21 დეკემბრის გაზეთ „ოდიში“ გამოქვეყნებულ წერილს: „არც ისეა საქმე, როგორც...“ ანუ ღია ბარათი სმედმსის ზუგდიდის განყოფილების გამგეს ბატონ გოჩა ფიფიას“. სწორად მიმანია იმის აღნიშვნა, რომ კომერციული მაღაზიებიდან ძვირად ღირებულ საქონელს ისინი ყიდულობენ, რომელთაც არაპატიოსანი გზით ნაშოვნი დიდძალი ფული აქვთ დაგროვებული. ეს უდავოა, მაგრამ ამჯერად სულ სხვა კუთხით მინდა შევეხო საკითხს.

კომერციული მაღაზიები კერძო ინიციატივაზეა დაფუძნებული და, ასე თუ ისე, მისმა მეპატრონემ საქონელს „თავისი“ ფასი რომ დაადოს შეუძლია. აი, საკითხავი ისაა, რა მდგომარეობა სუფევს სახელმწიფო სავაჭრო ობიექტებში. ნაღდ ფასად არანაირი ნაწარმი არ იყიდება. გამყიდველები მანეთიან საქონელს ორმაგად მოგყიდიან, თუ უნდათ—სამმაგად. მაგალითად, სამეურნეო მაღაზიაში ყველა სახის ლურსმანი კილოგრამი მანეთად იყიდება, 30 კაპიკიანი ქლიბიც—მანეთად და ა. შ. ასეა სამრეწველო საქონლისა თუ სასურსათო მაღაზიებშიც.

ბევრი კაცი გულს იმით მაინც მოიოხებდა, რომ თავგასული დახლის მუშაკს დაუცაცხანებდა მილიციაში გიჩივლებო, ახლა კი ბიჭი ხარ და ხმა ამოიღე... გამაგებინეთ რა ხდება? სანამდე შეიძლება გაგრძელდეს ასე?!

დროა, „მრგვალი მაგიდის“ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ სახელმწიფო ვაჭრობის სისტემასაც მიხედოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მართალი არ ვიქნებით.

**მ. ქარდავა,**
პენსიონერი.

## კოოპერატიული ავტოსკოლა „მესამე“

იღებს მსურველებს, მსუბუქი ავტომობილის მძღოლთა მომზადების. თეორიული მეცადინეობა მოეწყობა, როგორც სამზადებლად დღის, ასევე საღამოს საათებში. მეცადინეობის ხანგრძლივობა 1,5 თვეა.

პრაქტიკული სწავლება მოეწყობა მსმენელთათვის ხელსაყრელ დროს. ამასთანავე, პრაქტიკული სწავლების დროს მძღოლ-ინსტრუქტორი მსმენელს მიაკითხავს მის მიერ მითითებულ მისამართზე (ბინაზე ან სამსახურში).

თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიცირებული პედაგოგები და მძღოლ-ინსტრუქტორები მსუბუქი მარკის ავტომობილებით.

ავტოსკოლაში მიიღებიან ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის რაიონის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მესტიის რაიონების მცხოვრებლები.

ავტოსკოლაში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სამედიცინო ცნობა („ფ-083“) და სამი ცალი ფოტოსურათი 3X4. საბუთები მიიღება ყოველდღე, 10 საათიდან 13 საათამდე.

სწავლის ქირის გადახდა შეიძლება, როგორც ნაღდ ანგარიშზე ასევე გადარიცხვით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართით: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №2, პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობა, პირველი სართული, ოთახი №64.

**ავტოსკოლა „მესამე“.**

ზუგდიდის ავტოკოლონა 2668-ის ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურეები პენსიაზე ვაცილებთ რა ამავე ავტოკოლონის პროფკომიტეტის თავმჯდომარეს **მარია ათანასეს ასულ ანთიას** (რომელიც 1956 წლის 1 იანვრიდან დღემდე დაუღალავად ილვწოდა ავტოკოლონის წინსვლისათვის), ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ვუსურვებთ ღვაწლმოსილს.

## წილობრივ თანხასაც გავიღებ

მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს გაზეთ „ოდიშის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული იყო პუბლიკაცია „მეგრული ჭიდაობის ცხენი შველას ითხოვს“.

წერილის ავტორი საქართველოს სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გოგი შეყია იტყობინებოდა, რომ ადგილობრივი ჭიდაობის ცხენი სრულ გაუჯიშებამდე მივიდა, არა და ეს ტანმორჩილი ცხენი დიდ როლს ასრულებდა მეგრელი კაცის ცხოვრებაში, მას გარკვეული ადგილი ეკავა სპორტშიც.

რა ეშველება ამ საქმეს?—კითხულობს ავტორი და იქვე იძლევა წინადადებას, რომელსაც ხორცშესხმა სჭირდება. ზუგდიდში უნდა გაიხსნას ცხენსაშენი, რომელიც მოამრავლებს მეგრული ჯიშის ცხენებს.

ჩვენ ონარიელი მშრომელები მხარს ვუჭერთ წერილის ავტორს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზუგდიდის რაიონში გაიხსნას ცხენსაშენი.

თუ საქმე დადებითად გადაწყდება მინდა „ოდიშის“ მკითხველებს ონარიის მეურნეობის კოლექტივის სახელით ვაუწყო: მეურნეობის დირექცია მორალურ მხარდაჭერასთან ერთად საჭირო წილობრივ თანხასაც გაიღებს ამ დიდი საშვილიშვილო საქმის მოსაგვარებლად.

ონარიის მეურნეობის მშრომელთა სახელით

**ომარ ხუხუაძარია,**
საქართველოს სპორტის ოსტატი.

რედაქტორი
**ბა ფანტურია.**

დედა ლამზირა, მამა გია, და თეკლე, ბებიები: ცისანა, ნელი, ბაბუები ანზორ ქითანავა, ბიჭიკო გარდავა, მამიდა ხონა, დეიდა ლარისა, ბიცოლა ნინო ფიფია, ბიძები მურაბ ჩახაია, ბორის წურწუმია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**თეონა გიას ასულ ქითანავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 დეკემბერს. დაკრძალვა 29 დეკემბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ხურგიანის ქ. 22.

მეუღლე ბუხუტი, შვილები მადონა, ჯუმბერი, დალი, სიძე კოტე დარასელია, შვილიშვილი ელენე, დები: ქსენია, ანტისა, ძმები: ვარლამი, დუდა მესხიები, რძლები: ვალიდა, შურა, ლუბა, ციალა, დარეჯანი, გული, ნუცა, დეიდა ნუცა ფიფია, ძმისწულები ინდიკო, პოლიკარპე, სიძეები ჭეჭიკო ყორშია, ჩიქერი ნანია, დისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**ვარდიშა (ვარდო) ვლადიმერის ასულ მესხია-ბულიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 დეკემბერს. დაკრძალვა 30 დეკემბერს სოფ. ოდიშში.

სოფელ ინგირის 9 აპრილის ქუჩაზე მცხოვრები მეზობლები იუწყებიან
**მურმან დავითის ძე ალანიას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შამგონის შრომითი კოლექტივი იუწყება ყოფილი მთავარი ეკონომისტის
**ვარლამ რაჟდენის ძე ლურწკაიას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ბუძღუ ბოხუა, შვილები: გურამი, მერაბი, ნინო. დები: ბებეშა. ფუფა, ძმა უშანგი თორია, სიდედრი მიმია ბოხუა, რძლები ლუიზა თორდია, თამრიკო კობიძე, სიძეები: იპოლიტე კორკელია, გოგი ხუფენია, შვილიშვილები: რამაზი ხატია, ანი ლურწკაიები, გიორგი ხუფენია, ცოლისდები: თოთოშა, ვალია ბოხუები. ბიძაშვილები: გივი ლურწკაია, დავითი, ლერი, ანზორი, ციალა, ნორა კვარაცხელიები, ლავრენტი, ყორყი ქორქიძეები, დეიდაშვილი ინდიკო ენუქიძე, ძმისშვილები, დისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**ვარლამ რაჟდენის ძე ლურწკაიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 დეკემბერს. დაკრძალვა 30 დეკემბერს სოფ. შამგონაში.

დედა ანიკო, მამა დავითი, და ზაირა, ძმები: კუკური, რევაზი, გურიელი, მურთაზი, მუხრანი, რძლები: ლუიზა, ზიტა, ლალი ალანიები, მამიდა ქსენია, სიძე ვენედი ზაქარაია. დეიდები: ნოკოშა საჯაია, ნონა ხურცილავა, ბიძა მიშა, ბიცოლა მერი ჯგერენაიები, ძმისშვილები ბუდუ, მზევინარი, შორენა, რამაზი ალანიები, დისშვილები ნატო, თეა ზაქარაიები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**მურმან დავითის ძე ალანიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 დეკემბერს. დაკრძალვა 30 დეკემბერს სოფ. ინგირში. გამოსვენება 9 აპრილის ქ. 18.

შვილები: კუკური, გივი, რძლები ნელი გერეხელია, ლიურა ლაგვილავა, შვილიშვილები: ირინა, მაია, მამუკა, გელა, გიზო. შვილთაშვილი დათო, სიძე ამირან ჯგერენაია, მაზლი გერმანე კუკავა, დისშვილები: შურა ბაძაღუა, დუნია, აველინა, ლიმო, ბუძღუ, ბოჩია კვატანიები, ძმისშვილები: გოგოლა, ნუცა, ნაპო, ბოჩო ქირიები, მაზლიშვილები, მულიშვილები, მზახალი ლავრენტი გერეხელია ოჯახებით იუწყებიან
**ვერა სტეფანეს ასულ ქირია-კუკავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 დეკემბერს. დაკრძალვა 30 დეკემბერს. ქ. ზუგდიდი, გამარჯვების ქ. 90.

მეუღლე ციცინო. შვილები: ნონა, მოგელი. დები ჯუგუ. ძაბა, სიძეები: გენო ქოჩუა, ბიმე მიქაძე, რძალი მაია ბულია, შვილიშვილები: ჯონი, ჯენი, ჯუნა ქოჩუები, ნინო, თამუნა როგავები, ძმისშვილები: კანდილო, ჯამბული, ჯემალი, გია, ნანი, ლილი, ნერო, მანანა როგავები, ცოლისდები, ცოლისძმები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან
**აბიბო ბეგლარის ძე როგავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 დეკემბერს. დაკრძალვა 30 დეკემბერს 5 საათზე სოფელ ყულიშკარში.

შვილი ნორა, სიძე მიშიკო ქითანავა, შვილიშვილი ზვიადი, მაზლი ვალიკო, მულები: გუგუშა, ბუცა, ძერი პაპასქირები, რძლები გუგუშა, შურა, ცუცა, მაზლიშვილები: სულიკო, იგორი, დარეჯანი, ავთანდილ, ზურაბი პაპასქირები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**ცაბუ (ვარდო) ბასას ასულ სამუშია-პაპასქირის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 დეკემბერს. დაკრძალვა 30 დეკემბერს სოფ. ქვალონში.

დედა მერი, მამა ბიჭიკო, ძმა ბადრი, და ნანი ნარმანიები, სიძე ავთანდილი, დისშვილი ილუშა გაჩეჩილაძეები, ბიძა ვალიკო, დეიდა ბაბულა გაბისონიები, ბიძაშვილები რომანი, ვალერი სულხანი გაბისონიები, დეიდაშვილები მანანა, მანონი, ქეთინო ლაგვილავები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**ნონა ბიჭიკოს ასულ ნარმანიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 დეკემბერს. დაკრძალვა 30 დეკემბერს. გამოსვენება ზუგდიდი, ძერჟინსკის ქ. 37.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის 2-21-80 რედაქტორის მოადგილის 2-33-63 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96. სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-57-12 კორექტორი/რედაქციის 2-47-00

საქ. ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2 23 07 ტირაჟი 22000

შეკ. 5547